შანხაი – დასავლეთის სარკმელი ჩინეთში (ჩანაწერები საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაკვეთილებისთვის)

ავტორი ლევან ალფაიძე

პირველი ნაწილი

„თუ პეკინი კონსერვატორი, უფროსი ჩინელი ძმაა, მაშინ შანხაი მოდური, შოპოჰოლიკი [უოლსტრიტული ტიპის] უმცროსი დაიკოა, რომელიც ბევრს მუშაობს და უფრო მაგრად ერთობა“.

უცნობი ავტორი

ძველი რომაული გამონათქვამის თანახმად, ვინც რომში ჩავიდა და პანთეონი არ უნახავს, იმ სახედრადვე დარჩება, რაც რომში ჩასვლამდე იყო.

ეს გამონათქვამი შეიძლება შანხაისაც მოვარგოთ და ვთქვათ: „ვინც ჩინეთში ჩავა და შანხაის არ ნახავს, შეუძლია, ხელახლა ჩავიდეს ჩინეთში და ნახოს შანხაი, სახედრით თუ სახედრის გარეშე“.

შანხაი, ან შანჰაი, ან შანგ-ჰაი, ჩინეთის უდიდესი ქალაქია, ოცდაოთხ მილიონზე მეტი მცხოვრებით. ის პეკინის, ჩინეთის დედაქალაქის, სამხრეთით, დაახლოებით 1 200 კმ-ზე, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე, მდინარე იანცზის დელტაში მდებარეობს.

შანხაის უცნაურობები მისი სახელწოდებიდან იწყება: სტანდარტულ, საერთოჩინურ ენაზე (ე.წ. მანდარინი – ოფიციალური ენა, პუტუნხუა, ან ჩრდილოეთჩინური ენა, რომელიც ჩინეთის ცენტრალურ პრესასა და ტელევიზიაში გამოიყენება) ქალაქის სახელი ჟღერს როგორც „შან-ჰაი“; შანხაიურ დიალექტზე, ვუზე (რომელიც, სინოლოგთა ნაწილის აზრით, ცალკე ენაა და არა ჩინურის დიალექტი), ქალაქის სახელია „ზა-ჰე“. როგორც ხედავთ, განსხვავება სახეზეა.

მეორე თავისებურება ის გახლავთ, რომ შანხაი საკმაოდ განსხვავდება ჩინეთის სხვა ქალაქებისგან. ამ განსხვავების მთავარი მიზეზი ის არის, რომ შანხაი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია. ის XVI-XVII საუკუნეებში დაარსდა, რაც ჩინეთისთვის სულ ახლად დაარსებულ ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს. ქალაქი მდინარეზეა გაშენებული. ამან განაპირობა მისი სავაჭრო ცენტრად ქცევა, რომელსაც მთელი ქვეყნიდან ეტანებოდნენ მეწარმეები, ვაჭრები თუ ავატიურისტები.

მეორე ფაქტორი, რამაც შანხაის განსხვავებული იდენტობა განაპირობა, გახლავთ ის, რომ დაარსების დღიდან იქ უკვე ჩანდნენ ევროპელები, ხოლო მე-19 საუკუნეში სწორედ შანხაი იქცა ევროპული ექსპანსიისა და კოლონიზაციის მცდელობების მთავარ ადგილად, ამიტომ ქალაქი ყოველთვის უფრო მეტად ვესტერნიზებული იყო, ვიდრე უკიდეგანო ჩინეთის დანარჩენი დასახლებები. მე-19 საუკუნის მიწურულს ევროპელებმა შანხაის დიდი ნაწილი გააშენეს. ქალაქის

ფოტოებზე, თანამედროვე გიგანტური ცათამბჯენების გვერდით, ნახავთ შანხაის ევროპულ კვარტალსაც – ბუნდს, რომელიც დასავლეთევროპული კოლონიალიზმის სიმბოლოა. აქ შეხვდებით ჰოლანდიურ, პორტუგალიურ, რუსულ და ამერიკულ სახლებს, კოლონიზაციის პერიოდში აშენებულ საბაჟოსა და ბირჟის შენობებს და იმ ეპოქაში სავსებით ლეგალური „ოპიუმის კომპანიების“ ყოფილ ოფისებს, საიდანაც ევროპა, ჩინეთის იმპერატორისთვის თავს მოხვეული ხელშეკრულების საფუძველზე, თრიაქით ამარაგებდა ჩინეთის სხვა პროვინციებს.

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთის ცნობილ მილიარდერთა ოჯახებმა, ფორბსებმა და ასტორებმა, სწორედ ჩინეთთან ოპიუმით ვაჭრობით დააგროვეს მრავალმილიონიანი ქონება, ხოლო ბრიტანეთის დედოფალი ვიქტორია (1819-1901) იმ დროს ოპიუმის ყველაზე მსვხილი მიმწოდებელი გახლდათ ჩინეთის ბაზარზე. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, მე-19 საუკუნეში ოპიუმის ვაჭრობას ბრიტანეთის იმპერიის შემოსავლების 20% მოჰქონდა! ევროპელებს არ ეთმობოდათ ზღაპრული შემოსავლები. მიუხედავად ვინის დინასტიის იმპერატორების მედგარი წინააღმდეგობისა, მათ ორ ომში (ე.წ. ოპიუმის ომები) დაამარცხეს ჩინელები და კაბალური ხელშეკრულებებით ჩინეთის დიდ ნავსადგურებში ოპიუმით და სხვა საქონლით ვაჭრობის უფლება მიიღეს. ევროპელების მომგებიანი „ბიზნესი“ ჩინეთში დიდხანს გაგრძელდა და ამან ქალაქზე დიდი გავლენა მოახდინა. იმ დროს შანხაის ევროპელები „აღმოსავლეთის ქალაქ-ზღაპარს“ ეძახდნენ, ხოლო ჩინელები ზურგს უკან „აზიის როსკიპად“ მოიხსნეიებდნენ ქალაქში იმ დროს არსებული ათასობით ბორდელის გამო.

ბრიტანეთისა და სხვა ევროპული იმპერიების წყალობით ჩინეთში დაწყებული ნარკომანიის ეპიდემია 1949 წლამდე გაგრძელდა. სახელმწიფოს სათავეში კომუნისტების მოსვლის შემდეგ ოპიუმის ეპოქა საბოლოოდ დასრულდა.

დღევანდელი შანხაის, ამ ურბანისტული კოლოსის ნახვისას, ძნელად დაიჯერებთ, რომ ეს ქალაქი ერთ დროს მებადურთა სოფელი იყო. შანხაიელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სოფელი სუნ-ცზიანი შენარჩუნებულია და დღეს შანხაის რაიონს წარმოადგენს. სწორედ ამ რაიონში მდებარეობს შანხაის შვიდი უნივერსიტეტი და მათი კამპუსები (შანხაიში სულ ოცდაათამდე უნივერსიტეტია), სადაც 100 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს და ცხოვრობს. ფაქტობრივად, შექმნილია ქალაქი-უნივერსიტეტი ქალაქში, თავისი ქუჩებით, მაღაზიებით, სწრაფი კვების დახლებითა და კაფეებით და ჭრელა-ჭრულა ბუტიკებით.

შანხაის კიდევ ერთი უცნაურობა ის გახლავთ, რომ ამ ქალაქში ერთდროულად დასაბამი დაედო ორ ტენდენციას, რომლებსაც თეორიულადაც კი არ შეეძლოთ ერთად განვითარება. სწორედ შანხაიში გაიმართა 1921 წელს ჩინეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა, რომელსაც ესწრებოდა მაო ძე დუნი და რომელზეც დაფუძნდა ჩინეთის კომპარტია, კომუნისტური ინტერნაციონალის (კომინტერნის) ორი წარმომადგენლის, რუსი-ებრაელი კომუნისტის ვლადიმირ ნეიმანის (პარტიული სახელი – „ნიკოლსკი“) და ჰოლანდიელი კომუნისტის ჰენკ სნეეფლიტის (პარტიული ფსევდონიმი – „მარინგი“) მეთვალყურეობით.

იმავდროულად, შანხაი უკვე ვითარდებოდა როგორც ახალი მეწარმეობისა და ბიზნესის ქალაქი, რომელშიც გაჩნდა ჩინეთის პირველი ბიზნესკონსორციუმები, სადაც ფინანსდებოდა ახალი შენობები, უნივერსიტეტები, პორტის ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ უკვე რევოლუციურ და შემდეგ კომუნისტურ ჩინეთში ყველაზე მეტხანს (მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე) დარჩა შანხაის რუსული თემი, რომელიც იქ მეცხრამეტე საუკუნიდან ეწეოდა კომერციულ საქმიანობას. ჰონგ-კონგი

და მაკაო, რომლებიც ჩინეთის კონტროლის ქვეშ 1999 წელს გადავიდა, მანამდე დიდი ბრიტანეთისა და პორტუგალიის ოფიციალურ ნაწილებს წარმოადგენდა.

პირველი ნაწილის დასასრული